საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 48 2016 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/11/2013, 010240030.10.003.017464) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ ქვეპუნქტი:

„ქ) სამინისტროსათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბალანსზე რიცხული/სარგებლობაში გადაცემული ქონების მშენებლობის, რემონტის და საავარიო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, აგრეთვე შესყიდული საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების ხარისხის კონტროლი.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი.“;

ბ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი:

უ.ა) ახორციელებს სამინისტროსათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბალანსზე რიცხული/სარგებლობაში გადაცემული ქონების მშენებლობის, კაპიტალური რემონტის და საავარიო სამუშაოების ზედამხედველობას;

უ.ბ) განსაზღვრავს შესყიდული საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების ხარისხობრივ შესაბამისობას სათანადო ხელშეკრულების პირობებთან.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 15 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი